კონფერენცია / დისკუსია

დემოგრაფიული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები

2023 19 სექტემბერს „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) ინიციატივით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა კონფერენცია/დისკუსია: „დემოგრაფიული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები".

მთავარი თემა: *„შიდა და გარე მიგრაცია, როგორც უმძიმესი გამოწვევა. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება და მიზნობრივი კომპლექსურ - მულტისექტორული პროგრამების მნიშვნელობა".*

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა უსმა/usma-ს თავმჯდომარემ **ბესიკ ობოლაძემ.**

სხდომაზე ძირითადი მოხსენებები გააკეთეს:

ეკონომიკის დოქტორმა, „უსმა"-ს ესპერტთა საბჭოს თავმჯდომარემ **გოჩა ცოფურაშვილმა** და ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა **თემურ მაისურაძემ.**

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს:

<u>მიხეილ ჯიბუტმა</u> - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,

<u>ირაკლი გოგავამ</u> - ეკონომიკის დოქტორი,

<u>დავით გალეგაშვილმა</u> - ეკონომიკის დოქტორი,

<u>დიმიტრი ლორთქიფანიძემ</u> - მეცნიერებათა დოქტორი,

<u>ნოდარ მინდიაშვილმა</u> - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

<u>სოსო მანჯავიძემ</u> - მეცნიერებათა დოქტორი, საავტორო გადაცემის - „გონიერი"-ს წამყვანი,

<u>მამუკა არეშიძემ</u> - ანალიტიკოსი,

<u>ალექსანდრე კასრაძემ</u> - მხატვარ-დიზაინერი;

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია

პრობლემები და გამოწვევები

საქართველოს წინაშე დგას უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემები, რაც მნიშვნელოვანწილად საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყნის და მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკვე მოკლევადიან პერსპექტივაში. არსებულ მოცემულობაში მნიშვნელოვანია აქტიური და ქმედითი ზომები შექმნილი მძიმე მოცემულობის შესაცვლელად. აღნიშნული პრობლემის სრულფასოვნად გააზრების და შეფასების პარალელურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ 2016 წლის 24 ივნისს მიღებულისაქართველოს პარლამენტის დადგენილება - ,,საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის დამტკიცების შესახებ''. უნდა თავშივე აღინიშნოს, რომ მიღებული საკანონმდებლო ინიციატივა და მისი აღსრულება წლების განმავლობაში იგნორირებული იყო მთავრობის ადმინისტრაციის მიერ. (2017 წლის 1 ივნისამდე უნდა დამტკიცებულიყო 2017-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია და მასთან ერთად სამოქმედო გეგმა)

2023 წლის 30 მარტის მთავრობის 132 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს დემოგრაფიულ საკითხთა განმხილველი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია საკითხის მოგვარების თვალსაზრისით, თუმცა ამ დრომდე ჩვენთვის და დაინტერესებული საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი რაიმე კონკრეტული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ან მიზნობრივ-პროგრამული სიახლეების შესახებ, შესაბამისად ჩვენი მიზანია პირველ რიგში სამთავრობო საბჭოს გაუზიაროთ რიგი მოსაზრებანი, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს მიგრაციულ თემებს და ატარებს კანონის როგორც ადმინისტრაციულ-აღსრულებითი ფუნქციონალის გააქტიურების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მიზნობრივ კომლექსურ-მულტისექტორული პროგრამების დანერგვის მიზანშეწონილობის შინაარსს.

ჩვენი ინიციატივა, სამუშაო თემა და საქმიანი პლატფორმა სრულ ჰარმონიაში და იდეურ თანხვედრაშია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებში, სადაც გაცხადებული მთავარი მიზანი გახლავთ -,,ქვეყანაში მოსალოდნელი რიცხოვნობის შემცირების (დეპოპულაციის) შეჩერებაა''. უმნიშვნელოვანეს საკითხად მიგვაჩნია დადგენილებაში მოცემული და კლასიკურად ჩამოყალიბებული პრიორიტეტული მიმართულებები:

1.შობადობა. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა;

2.ავადობა და სიკვდილიანობა;

3.მიგრაცია;

4.მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება;

დღევანდელი კონფერენციის განსახილველი თემა ძირითადად მიეძღვნება მესამე მიმართულებას - „შიდა და გარე მიგრაციის პრობლემებს და გამოწვევებს''.

ჩვენ კვლავ ვიშველიებთ საკანონმდებლო ნორმას და ვციტირებთ 3.1. მუხლში - რეგიონებში განვითარების ცენტრების შექმნა, სადაც მნიშვნელოვანია დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რეგიონების მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, ასევე ხაზგასმულია რომ ეს საკითხი სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებს სწორედ ამ მიმართულების შესწავლა-დაკვირვებას, შეფასება-ანალიზს და მიზნობრივ-პროგრამულ-მოდელირებულ უზრუნველყოფას.

გოჩა ცოფურაშვილი

თემურ მაისურაძე

ტელესიუჟეტი იხილეთ აქ

ცნობილი ექსპერტის, ბატონი დემურ გიორხელიძის
გამოსვლა "უსმა/USMA"-ს ღონისძიებაზე

იხილეთ აქ